

კინო-თეატრი ან ბაკდონალდსი

ფანი 50 თეთრი

№ 17 10 - 17 აპრილი 2015 წელი

გაომლის საგზაოპოლიტი

კვირში გამოქიდაბული
სახლის ბინადრები 33. 2



ბარემოვაჭრებს
ხელნერილები
დაურიბდათ 33. 3



დასუფთავების
სამსახურს ახალი
მანქანები და ურნები
გადმოუსა 33. 2



ორი ფერპერი
ქალბატონის
ნარმატებული ისტორია 33. 6

შენ ჯერ ებ არ
ბინახავს?
აქ გვიპოვი ჩვენ
www.msnews.ge

საით გადაინახება თეილანდის სანსორი? სანარმოო ტრამპედილებული ახალგაზრდა

დამსაქმებელ კომპანიას უჩივის



მარი ჯაჟახია
ფოთი

ბოლო წლების სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში სამუშაო ადგილებზე უბედური შემთხვევების რიცხვი საგრძობლად გაზრდილია, რაც განპირობებულია საწარმოების ადმინისტრაციის მხრიდან ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების იგნორირებით, ქვეყანაში შრომის ინსპექციის არარსებობით. აღსანიშნავია, რომ წლების განმავლობაში შემთხვევების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სწორედ, რომ სამშენებლო სექტორში ფიქსირდება. უსაფრთხოების წესების იგნორირების შედეგად ზარალდებიან სამშენებლო ობიექტებზე დასაქმებულები.

ჩვენს დღევანდელ სტატიაში ერთ-ერთ მათგანზე, ფოთში ჭავჭავაძის ქუჩაზე №138/44-ში მცხოვრებ გივი აკობიძეზე გიამბობთ, რომელმაც მიმდინარე წლის 9 თებერვალს ნაბადის წყალმომარაგების ობიექტზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოსას მიიღო ტრამპე და დაახლოებით 7 თვეა საწოლსაა მიჯჯგუული. ტრამპის შედეგად ორივე ფეხი პარალიზებული აქვს, რის შედეგადაც მას მეორე ჯგუფის ინვალიდობა მიენიჭა. როგორც დაზარალებული გვიყვება,

გარდა ამ „წოდებისა“, სხვა არანაირი დახმარება აქამდე არ მიუღია არც იმ კომპანიისგან და არც იმ სამშენებლო ობიექტისაგან, სადაც დაზარადა. მას სხვა გზა არ დაუტოვეს და უყურადღებობით აღშფოთებულმა სასამართლოს მიმართა, რადგან ვერაფერი მიიღო ვერც მკურნალობისათვის საჭირო თანხები და ვერც სხვა რამ დახმარება, რაც მას კანონით საწარმოო ტრამპის შემთხვევაში ეკუთვნოდა.

საწარმოო ტრამპამიღებულმა აკობიძემ სასამართლოში ორივე კომპანიას - „პრაიმ ბეტონსა“ და „კობრა ჯორჯიას“ უჩივლა. როგორც გვითხრა, სასამართლო პროცესებიც რაღაც მიზეზების გამო, უკვე ორჯერ გადაიდო და მომდევნო პროცესი 12 აგვისტოსაა ჩანიშნული. ამ სასამართლო პროცესის გამართვამდე იმედ დაკარგულმა აკობიძემ დახმარებისთვის ჟურნალისტებს მოგვმართა. დაზარალებული აკობიძე ტრამპის მიღების დღეს იხსენებს და თვლის, რომ უსაფრთხოების ნორმები ობიექტზე სათანადოდ არ იყო დაცული, რამაც მისი ტრამპირება გამოიწვია; „ჩვეულებრივად ვმუშაობდი. 6

გაგრძელება 4-33.

„ამდენმა
ნანსალმა და
შენსედეტებმა
გადაგვალა,,
და „გვეშედეტება
რამე?,, 33. 5



როგორ
გაპირუჯოთ

33. 6

გამომცემელი და დირექტორი, მთავარი რედაქტორი ინგა გვახალია - 599 341 417; ingagvasalia@gmail.com

რედაქტორი მარი ჯავახია - 579 241 122

დისტრიბუციის სამსახური მარი ალიხანაშვილი 551 122 570- კორესპონდენტები:

მარი ალიხანაშვილი (ფოტო) 551 122 570

ქეთი ჭითავა (ფოტო) 598 21 20 11

ივგა პაჭკორია (ხობი) 568 61 04 41

გამოქვეყნებული მასალის შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. სტატიის ავტორები თავად აგებენ პასუხს ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიო მასალები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გახვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

ბამოქმეცხეპულო მასალის ბადაბუკვვა რედაქციის ნებართვით ბარში აპრადულოა.

2013 წლის ბოლოდან 7 %-ით გაუფასურდა ეროვნული ვალუტა როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე აცხადებს ვალუტის კურსის



ვარდნა მყარია. და ზღრუღ ნიშნულს არ ცილდებ. გასულ წელს 23 %-ით გაიზარდა ქვეყნის მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა. ერქვერტების აზრით მთავრობა ზედმეტ ფულს ბეჭდავს, რაც ინფლაციის მიზეზია. მიმდინარე წლის იანვარში დოლარის მიმართ ლარის კურსი ყოველდღიურად იცვლება და მაღლა მიიწევს. ბოლო დღეების მონაცემებით ერთი ამერიკული დოლარი -2 ლარზე მეტია, ერთი ევრო - 2,4 ლარი, ერთი თურქული ლირა - 0,78 ლარი.

დასუფთავების სამსახურს ახალი პაერში გამოქიდეული მანქანები და ურნები გადაეცა

სახლის ბინადრები

ქათი ჭითავა ფოტო

ჩვენი ქალაქის ქუჩებში მდგარი ნაგვის ურნების ნაწილი კარგა ხანია შეილანძლა და განადგურდა. საჭირო გახდა მათი განახლება. ამისთვის დასუფთავების სამსახურმა შესაბამის სამინისტროს 200 ნაგვის ბუნკერის შექმნის თხოვნით მიმართა. სამინისტრომ თხოვნა დააკმაყოფილა და ბუნკერები სამსახურს უკვე გადაეცა. როგორც ინფრასტრუქტურა 2008-ის სამსახურის უფროსი გია სილოგავა გვუხებთ: " ფოტის მერაისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შორის მჭიდრო თანამშრომლობა მიმდინარეობს. ინფრასტრუქტურის სამინისტრო ინიციატორი დაგვა-დასუფთავების მოწესრიგებისა. ჩვენმა ქვეყანამ ევროპასთან ასოცირების

ბა 10 დღიანი ტრენინგი. ურნების ჩანაცვლება უკვე დაწყებულია თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქალაქის რკალზე. ურნებს მალთაყვის პლაჟისთვისაც ვითვალისწინებთ და იმისთვის ვართ მობილიზებული. პლაჟის ტენდერი ჩატარდა, 3 წლიანი პროექტია. მეორე ნაგვის მანქანაც გვაქვს, ის იაპონურია. მთლიანობაში მილიონ ლარზე მეტი ღირებულებისა ის საჩუქარი, რაც ჩვენ გადმოგვცეს. ეს უპრეცედენტო ფაქტია. რაც შეეხება სამუშაო ადგილებს. ჩვენ ტენდერზე ვართ დამოკიდებული. ვართ ჩვეულებრივი შპს და ვიგებთ ტენდერებს. ახლა წლის ბოლომდე მოგებული გვაქვს ტენდერი. გვაქვს სეზონური სამუშაოები, სეზონურად ვღებულობთ თანამშრომლებს. მუნიციპალური განვითარების ფონდი ყიდულობს ნაგვის მანქანებს, ურნებს. სახელმწიფო გლობალურად მიუღდა ამ თემას. როგორც ჩვენ გადმოგვცა ურნები, ასე ოზურგეთს, ანაკლიასაც გადაეცათ - ყველას თ-



ხელშეკრულებას მოვაწერეთ ხელი და იქ გვაქვს ვალდებულებები, რომელიც ქვეყნის ეკისრება, ერთ-ერთია დაგვა-დასუფთავების კუთხე. სხვადასხვა ფონდები არსებობს, რომლებიც ენაშრობიან სხვადასხვა სამინისტროებს. ჩვენ მოვითხოვეთ 0,1 მეტრ კუბიანი, რკინის ბუნკერები და შეგვიძინეს. ასევე მოვითხოვეთ 0,6მ კუბიანი ლურჯი ფერის პლასმასის გერმანული ბუნკერები 50ც, 0,25 კუბიანი ხეებზე, ბოძებზე, სკვერებში მისამარებელი მწვანე ფერის ბუნკერი 200 ც. ასევე მოთხოვნა გვქონდა პლაჟის საწმენდ მანქანაზე, რადგან მოგვხსენებთ, სანაპირო ზოლი ქვიშის ზოლია და ხანდახან შაბათობებს, სხვადასხვა აქციებს კი ვაწყობდით, მაგრამ არ ყოფნიდა ეს -მოგვხსენებთ, მდინარეები რიონი და კაპარჯა ჩაედინება, მათ ნარჩენები ჩააქვთ თავისთავად. ამას გარდა, ზღვაში სხვადასხვა ნარჩენები ჩაედინება სხვადასხვა ქალაქიდან თუ სოფლიდან, შემდეგ ზღვა რიყავს ამას. სწორედ ამის მოსაგვარებელი ტექნიკა იქნა ჩამოყვანილი. მას სჭირდება მისამართი ტრაქტორი, რომელიც შემქნილია და მალე ჩამოვა. ყველაფერი ახალია და არა მეორადი. დაახლოებით 10 დღეში ჩამოვა ეს ტრაქტორი, მას მოყვებიან გერმანული ინსტრუქტორები. ჩატარდ-

ვისი მოთხოვნებისამებრ. სისტემატიურად იწმინდება ოსტროვის პლაჟი. სამუშაოდ, ამ საკითხთან დაკავშირებით მოსახლეობის კულტურა მოიკოჭლებს. ადრე გაკეთებული გახლდათ პლასმასის ყუთები, მაგრამ, სამწუხაროდ, მოსახლეობის დაუდევრობის გამო, გაფუჭდა, მოკიდებული სიგარეტის ჩაგდების დროს დნებოდა. ტენდერის მიხედვით, ნაგვის გატანის ვალდებულება გვაქვს დღეში ორჯერ დიდი კონტეინერიდან, ანუ 1,1 მეტრ კუბიანიდან. მოსახლეობიდან გავგაქვს ყოველ მეორე დღე. ჩვენ ვართ მერიის ჩვეულებრივი კონტრაქტორი, არ მოვიცავთ მთელ ქალაქს, მხოლოდ იქ ვაკეთებთ, რაზეც ხელშეკრულება გვაქვს დადებული. პლაჟის გაწმენდა, როგორც ასეთი, ჩვენი ვალდებულება არ არის, ახლა უნდა შევიდეს ცვლილება ბიუჯეტში და შესაძლოა, სხვას დაევალოს მისი გაწმენდა. დაახლოებით მილიონ ორასი ათასი ლარის ღირებულებისა ის, რაც გადაეცა ქალაქს. მთავარი პრობლემა ის არის, რომ მოსახლეობის დაახლოებით 80% ნაგვის გატანის გადასახადს არ იხდის. მოსახლეობის მხრიდან როცა არის სერვისის გაუმჯობესების მოთხოვნა, ეს სერვისი ვერ გაუმჯობესდება, თუ კი არ გადაიხდის თანხას. ეს ქმნის პრობლემას, რაც, იმედია, გამოსწორდება და მოსახლეობას თანხის გადახდის საშუალებაც გაუნჩდება და სურვილიც".



მარიამ ალიხანაშვილი ფოტო

მალთაყვაში, გურიის ჩიხში (3 ნომერში) მდებარე ორსართულიან სახლში 7 ოჯახი ცხოვრობს. ადგილზე მისვლისას როგორც ვნახეთ, აქ მაცხოვრებლებს უმძიმესი სოციალური პრობლემები გააჩნიათ, მაგრამ უმთავრესი მაინც უმისამართობა გახლავთ. საქმე ისაა, რომ აღნიშნული შენობა რეგისტრირებული არსადაა და როგორც ფოტის ყოფილი მერის დავით სარსანიას მიერ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსადმი მიწერილი წერილით ირკვევა, რომ იგი შენობის ბალანსზე გადაემართა ითხოვს. მას შემდეგ, როგორც იტყვიან, მრავალმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ სახლი დღესაც პაერშია.

როგორც გავარკვეით, ორსართულიან სახლში მცხოვრებ 7 ოჯახს წლების განმავლობაში არ აქვთ არც გაზი, არც წყალი და არც შუქი. ეს უსახლკარო ადამიანები წლების წინ შესახლდნენ აქ. ზოგი მათგანი წარმოშობით ფოთელი არცაა, მაგრამ წლებია ფოთში ცხოვრობენ. ,, რამდენი წელია, ასეთ მდგომარეობაში ვართ. ზაფხულში არა გვიშავს, რადგან შეშა არ გვჭირდება, გვიან დამდეგა და მზის შუქი გვაქვს. განათებული ქუჩიდანაც შემოდის შუქი. როგორც ხედავთ, დევნილების დასახლებაა აქ. ჩვენი შენობა არავის ბალანსზე არაა ამიტომაც ვერ შემოგვავს შუქი, წყალი და გაზი. ზოგჯერ სასწრაფო დახმარება გვჭირდება და მისამართს ვერ ვუხებებით, რადგან არ გვაქვს. უჭირთ ჩვენი მოგება. ბანკშიც ვერაფერზე მივდივართ. არ ვიცით, როდემდე უნდა ვიყოთ ასე? აქ ყველა ოჯახ-

ხი ასეთ მდგომარეობაშია, არაფერი გაგვანჩია. ჩვენ მხოლოდ დარეგისტრირებას ვითხოვთ სინათლე მაინც რომ შემოვიყვანოთ. რამდენჯერმე მიემართეთ მაშინდელ ხელისუფლებას, მაგრამ არავინ მიიტანა გულთან ჩვენი პრობლემა, გვითხრეს - ფოტის ამბებს ჩვენ არ ვწვევთ და ამ თემაზე ჩვენთან აღარ მოხვიდეთ, ამის გადაწყვეტის უფლება არ გვაქვსო. ორი კვირის წინ ფოტის მერი ირაკლი კაკულიაც იყო მოსული. როგორც აღმოჩნდა, მას არ შენობის არსებობის შესახებაც არ ქონია ინფორმაცია. დაგვიბრდა, რომ შეისწავლის ჩვენს პრობლემას და მოგვაქცევს ყურადღებას. ველოდებით, მგონი მას ამის გადაწყვეტა არ უნდა გაუჭირდეს და ვიმედოვნებთ, კაკულია მაინც დაგვეხმარება"- გვიყვებიან აღნიშნული სახლის ბინადრები.



მალთაყვის უბნის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი მალხაზ თუთბერიძე გვიდასტურებს აღნიშნული შენობის დაურეგისტრირებლობას და იმას, რომ შენობა არავის ბალანსზე არ არის. ამ თემასთან დაკავშირებით კი კონკრეტული პასუხი ვერაფერობით არ გააჩნია.

მერიის ადმინისტრაციის უფროსმა ზვიად შუბითიძემ ჩვენგან გაიგო ამ შენობის შესახებ, რადგან გვითხრა, რომ საკითხს არ იცნობს, არავის მიუმართავს მისთვის არსებული პრობლემის მოსაგვარებლად. დაგვიბრდა, რომ მომართვის შემთხვევაში საკითხით დაინტერესდება, შეისწავლის და შესაბამის რეაგირებასაც მოახდენს.

მონაცემთა ბაზის განვითარების იმედით დარჩენილები

მარია ალინაშვილი ფოტო

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შეფასების მეთოდოლოგიაში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გატარებულმა მორიგემა ცვლილებებმა სოციალურად დაუცველ მოსახლეობათა უმრავლესობის უკმაყოფილება გამოიწვია. საქმე იმაში გახლავთ, რომ ცნობილია, სოციალური დახმარების ახალი სისტემა მისიდან უკვე სატესტო რეჟიმში ამოქმედდა. ქულების დათვლის ახალმა სისტემამ სოციალურად დაუცველთა უმრავლესობა დახმარების გარეშე დატოვა.

შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროში როგორც აცხადებენ, ახალი სისტემა, ძირითადად, ორიენტირებულია მრავალსულიან და ბავშვიან ოჯახებზე, რაც გაეროს ბავშვთა ფონდის ძირითადი რეკომენდაციაა და რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა პროცესის ყოველდღიური მონიტორინგი. შედეგების დეტალურმა ანალიზმა აჩვენა, რომ სისტემა გარკვეულ კორექტივებს საჭიროებს, რადგან ქულების დათვლის ახალი სისტემა პირველ რიგში მარტოხელა პენსიონერებს აზარალებს.

უკვე იდენტიფიცირებულია პროგრამის სუსტი წერტი-

ლები. ახლანდელი ცვლილებების მიხედვით გაიზარდა პენსიონერის შეფასების კოეფიციენტი, რაც საშუალებას მისცემს სახელმწიფოს აღუდგინოს დახმარება იმ პირებს, რომლებსაც დროებით შეუწყდათ შემწეობა და აუცილებლად საჭიროებენ დახმარებას.

ჯანდაცვის სამინისტროში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამართულ ბრიფინგზე ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა გააუქმეს მომზადებული შესაბამისი ცვლილებები, რომელიც 1 აგვისტოდან შევაქმლავდა. მეტიც, სახელმწიფო აუნაზღაურებს მარტოხელა პენსიონერებს იმ თვეების თანხებს, რა პერიოდშიც მათ საარსებო შემწეობის მიღება შეეწყობოდათ. მარტოხელა პენსიონერებს, რომლებსაც შეუწყდათ დახმარება ახალი მეთოდოლოგიის ტესტურ რეჟიმში მუშაობის დროს, დახმარება აღუდგებათ და 20 აგვისტოს მიღებულ შემწეობის თვეების კომპენსაციას. სოციალურად დაუცველთა ბაზაში ოჯახების რაოდენობის ცვლილება კი ბუნებრივი და მუდმივად მიმდინარე პროცესია ოჯახების სოციალური მდგომარეობის ცვლილების პარალელურად. სახელმწიფო ვალდებულია, უპირველესად დააკმაყოფილოს უკიდურესად შეჭირვებული ოჯახები.

სოციალურად დაუცველთა



ახალი პროგრამის შედეგად, დახმარების გარეშე არაერთი ფოთელიც აღმოჩნდა. ერთ-ერთი მათგანი ფოთში, მალთაყვავილე გუროის ჩიხი ნომერ სამში მცხოვრებელი ქალბატონი ლუიზა ბუკია გახლავთ. ადგილზე მისულს მეტად მძიმე ვითარება დაგვხვდა. ბუკიების ოჯახს სოციალური პრობლემები გააჩნია, არ აქვს გაზი, შუქი, წყალსაც ეზოდან უზიდებიან. ქალბატონი 60 წლის გახლავთ და 3 მცირეწლოვანი შვილიშვილს ზრდის. დახმარება მოხსნილი ქალბატონი თვალცრემლიანი (თან მორიდების გამო ცდილობდა ცრემლები დაემალა საუბრისას) გვიამბობს როგორ უჭირს სამი მცირეწლოვანი ბავშვის მოვლა; „წლების წინ სხვა მისამართზე ვცხოვრობდით, იქიდან წამოვედით, რადგან

მეპატრონემ სახლის რემონტი დაიწყო. ქუჩაში რომ დავჩნით, მაშინდელმა ადგილობრივმა ხელისუფლებამ აქ შემოგვასახლა როგორც უსახლკაროები. თითქმის ორი წელია აქ ამ გაუსაძლის პირობებში ვცხოვრობთ - ჩვენთვის არც წყალია, არც გაზი და არც არანაირი პირობები. რა ვქნათ, სად წავიდეთ? მალე დაზამთრდება, ყველაზე მეტად გვიჭირს ზამთარში, რადგან ვერაფრით ვთბებით, მეზობლები ერთ ადგილას ვანთებთ ცეცხლს და ასე გადაგვაქვს ზამთარი. ახლა კიდევ ჩვენს ამ გაჭირვებას ისეც დაემატა, რომ სოციალურად დაუცველობის სტატუსი მოგვიხსნეს. სამედიცინო დახმარებით მაინც ვსარგებლობდით, ამ დახმარების წყალობით ვმკურნალობდით ბავშვს. ახლა ისიც აღარ გვაქვს და

ბავშვიც სამედიცინო დახმარების გარეშე დარჩა. ვერც გმუშაობ, ბავშვებს ვუვლი და ვერ ვტოვებ. ჩემი ნათესავი ჩამოვიყვანე თბილისიდან, ისიც სოციალურად დაუცველი იყო და რატომღაც მასაც შეუწყდა სტატუსი, მასაც პატარა ბავშვი ყავს და ერთმანეთს ვეხმარებით. უმძიმესი მდგომარეობა გვაქვს, დენიც არ გვაქვს, საღამოს ეზოში რომ ანთია, იქიდან შემოდის სინათლე. ზამთარში ვათბობა არ გვაქვს, ხის მოჭრა აკრძალულია და ტყეში ვერ შევდივართ, ვერც შეშას ვყიდულობთ. ამიტომ მეზობლებთან ვთბებით, ხან ერთ მეზობელთან ვართ ხან მეორესთან, ერთმანეთთან დავდივართ გასათბობად, რადგან სხვა გამოსავალი არ გვაქვს“.

ხარვეზების გასწორების შემდეგ ბუკიას ოჯახი არის

დასასრული 4- გვ.

გარემოვაჭრებს ხელნერილები დაურიბდათ

მარია ალინაშვილი ფოტო

თითქმის ერთი თვეა, ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურმა გარემოვაჭრებს აგრარული ბაზრის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ადგილით სარგებლობის თვითნებურ შეზღუდვასთან დაკავშირებით გაფრთხილების ხელწერილები დაურიბა. ხელწერილის დარღვევის შემთხვევაში ისინი დაჯარიმდებიან სოლიდური თანხით. აღნიშნულმა ხელწერილებმა მოვაჭრეების უკმაყოფილება გამოიწვია. როგორც ამბობენ, შეზღუდვის შემთხვევაში ადგილობრივმა ხელისუფლებამ მათ ალტერნატიული ფართები უნდა მიუჩინოს: „შიგნით შენობაში კლიენტი არ შემოდის, გარეთ უკეთესად ვვაჭრობთ. თან გადასახდელიც მეტია შენობაში. დაგვასაქმოს სახელმწიფომ და ბაზარში არც დავდგები. რა ვქნათ? ასე ვმშობლობთ ლუკმა-პურს და ვარჩენთ ოჯახებს, სხვა შემოსავალი არ გვაქვს. რასაც აქ ვმშობლობ, აქვე თუ დავტოვებ სახლში რა მივიტანო, რა ვაჭამო შეიძლება? ძალიან კარგი პროფესია მაქვს, მაგრამ ვის უნდა ახლა ჩემი ასაკის ადამიანი, მე კი არა, ახალგაზრდებისთვის არაა მუშაობის საშუალება“ - გვითხრეს აღმფოთებულმა გარემოვაჭრეებმა.

ფოთის ბაზრის შპს „ლუკა“-ს დირექტორის თეა ბელაქანიას თქმით, ქალაქის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, თითოეულ გარემოვაჭრეს ჩაბარდა გამაფრთხილებელი ოქმი, რომლის საფუძველზეც მათ უნდა გაათავისუფლონ სავალი ნაწილი, რაც არ ნიშნავს მოვაჭრის შევიწროებას



არც მერიის და არც ბაზრის ადმინისტრაციის მხრიდან; “ უბრალოდ უნდა განთავისუფლდეს სავალი ნაწილი. არავინ რჩება სამუშაო ადგილის გარეშე. მათ გააჩნიათ მაღაზიები, რომლებიც დაკეტილი აქვთ, თუ რომელიმე დარჩება ადგილის გარეშე, რა თქმა უნდა, ფოთის აგრარული ბაზარი მერიასთან ერთად თავაზობს სამუშაო ადგილს, რომელიც 3 თვის განმავლობაში გადაეცემა ყოველგვარი გადასახადის გარეშე. რაც შეეხება სოფლიდან ჩამოსულ მოვაჭრეებს, მათთვის სპეციალურადაა გაკეთებული ადგილი. შეუძლიათ შეღავათითაც ისარგებლონ, მაგალითად, ადგილობრივი მოვაჭრე თუ იხდის მოსაკრებელს, იმის ნახევარს გადაიხდის გლეხი“.

ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის

ადმინისტრაციული ზედამხედველობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი მიხეილ სარიშვილი როგორც განმარტავს: „ეს არის მუნიციპალური სამომდრო გზა, ჩვენ გაფრთხილების წერილები დაეურით ვეფლა იმ გარემოვაჭრეს, ვინც სავალ ნაწილზე გადასული, უსაფრთხოების ზოდის, სახანძრო ან სამედიცინო დახმარების მანქანების შემოსვლას აფერებს და თვითონ მოქალაქეების გადაადგილება-საც აფერებს, საკანონო საკითხები რაც არის, ამას ვუხსნით და ეს დიდ პრობლემას არ წარმოადგენს მათთვის, რადგან უმრავლესობას აქვს შესასვლელი, ზოგს დაკეტილი აქვს, ზოგს გაჭირვებული და თვითონ სავალ ნაწილზე გადასული. ფაქტობრივად, 10 კაცის გარდა

ყველას შეუძლია ჩაეციოს თავის ადგილზე, ვისაც არ აქვს ფართი, ადმინისტრაციის შესთავაზებს შეღავათიან ფასებში. შესაძლოა, თავიდან საერთოდ არ ექნეთ გადასახდელი თანხა. ეს არ არის გარევაჭრობასთან ბრძოლა, უბრალოდ, აუცილებელია სავალი ნაწილის გაათავისუფლება“.

სარიშვილმა ისიც გვითხრა, რომ ჩახევილი გზის გახსნის მოთხოვნით წერილობით მიმართეს “პასაჟებს“ მყოფმა მოვაჭრეებმა: „პასაჟის მოვაჭრეების განცხადებით, უბედური შემთხვევის დროს მათი საქონელი განადგურების რისკის ქვეშ იმყოფება და გზის გათავისუფლება მოითხოვს“.

დასასრული 5- გვ.

საით გადაიხრება თეილანდის სასწორი?

სანაგრო ტრავმატიზებული ახალგაზრდა

დასაწყობებელ კომპანიას ურივის

დასაწყობი პირველი გვერდიდან

მეტრის სიმაღლე ხარაჩოზე ვიდრე და ვმუშაობდი, როცა ტერიტორიაზე სამშენებლო მასალით დატვირთული სატვირთო მანქანა შემოვიდა, რომელიც დაეტაკა ხარაჩოს, რომელზეც ვიდრე, ჩამოვარდი და მივიღე ორივე ფეხის ტრამვა“.

აკობიძე მიიხრევა, რომ კომპანიის მესვეურებს ამ ფაქტის გახმაურება არ სურდათ და ერთმანეთს ადანაშაულებდნენ მომხდარში. აკობიძე კომპანიაში სხვა შრომითი უფლებების დარღვევაზეც საუბრობს, მაგალითად, არ არსებობს შრომითი ხელშეკრულებები და მუშები ისე ყავთ დასაქმებულნი. მას ამის დასადასტურებლად საკუთარი მაგალითი მოყავს. საქმე იმაშია, რომ უბედური შემთხვევის დღეს მანქანაში მოაწვინეს ხელი ხელშეკრულებაზე, როცა ქუთაისში გადაყავდათ საოპერაციოდ. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ხელშეკრულება 1 თებერვლით ყოფილა დათარიღებული, სინამდვილეში კი 2014 წლის აგვისტოდან მუშაობდა „პრაიმბეტონში“.

„სავადმყოფოში გადაყვანის დღეს მომიტანეს რამდენიმე ფურცლიანი ხელშეკრულება. მთხოვეს - არ დაგვუპო, მოგვიწერე ხელი. მაშინ ვუთხარი, თუ დამეხმარებოდნენ, მიმკურნალებდნენ, თანახმა ვიქნებოდი, დამპირდნენ და მეც მოვაწერე ხელი. მაგრამ მათი დაპირება ტყუილი აღმოჩნდა და არაფერში დამხმარებია. მეტიც, არაფრად მიაჩნიათ ჩემი მიძიმე მდგომარეობა და ამბობენ - არაფერი უჭირს, მალე გაივლისო. არადა, ექიმები მეუბნებიან, რომ თუ გავიარე, რაც საეჭვოდ მიაჩნიათ, შესაძლოა განგრენაც განვითარდესო. მითხრეს, მთელი ცხოვრება ეტლით ან კასტელებით გექნება სასიარულოო. ესენი კი ექიმებზე „ჭკვიანები“ არიან“.

დაზარებულ აკობიძეს ჯანმრთელობის პრობლემების გამო სოციალური პრობლემატად გააჩნია - მას



ბანკიდან იპოთეკური კრედიტი აქვს გამოტანილი, რასაც რამდენიმე თვეა, უკვე ვერ იხდის უხელფასობის გამო და პროცენტებიც იზრდება. როგორც დაზარალებული ამბობს, მას კრედიტის გადახდა არ უჭირდა, როცა შრომისუნარიანი გახლდათ.

ჩვენ ნაბადის წყალმომარაგების ობიექტზე მიმდინარე სამუშაოებს ვეწვიეთ საკითხის გასარკვევად. აქ საქართველოს მთავრობის ინიციატივითა და აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ფოთში სასაქონლო წყლით ოცდაოთხსაათიანი მომარაგების პროექტს ახორციელებს. აღნიშნულ ტერიტორიაზე მიმდინარეობს შესაბამისი ინფრასტრუქტურული ობიექტებისა და საკომუნიკაციო სისტემების მშენებლობა-დამონტაჟება.

აღვიღზე მისულებს ხელმძღვანელობა გასული დაგვიხდა. სამუშაოთა მწარმოებელმა გიორგი გვასალიამ ოფიციალური საუბრისგან თავი შეიკავა, მაგრამ როგორც გვითხრა, აღნიშნულ ტერიტორიაზე სამუშაოებს აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული ესპანური სამშენებლო კომპანია „კობრა

ჯორჯია“, მას, თავის მხრივ, ჰყოლია რამდენიმე ქვეკონტრაქტორი ფირმა, რომელთაც ხელშეკრულება აქვს დადებული. გვასალიას თქმით, სწორედ ეს ქვეკონტრაქტორი კომპანიები გახლავთ პასუხისმგებელი უსაფრთხოებაზე და არა „კობრა ჯორჯია“, რადგან მათ ეს ხელშეკრულებით ეკისრებათ: „ჩვენ არ გვყავს მუშები, სამუშაოებს ჩვენი ქვეკონტრაქტორები ასრულებენ, იმ შემთხვევის დროსაც სამი ქვეკონტრაქტორი კომპანიის მუშები, დაზარალებული აკობიძე და იმ სატვირთო მანქანის მძღოლი მუშაობდნენ. ჩვენ არანაირი პასუხისმგებლობა არ გვეკისრება, რადგან სწორედ ის ქვეკონტრაქტორი კომპანიები არიან პასუხისმგებლები უსაფრთხოებაზე. ხელშეკრულებაშიც უწერიან ამის შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით საქმის კურსში არიან ჩვენი უცხოელი ხელმძღვანელებიც და როგორც ამბობენ, ელადუბიან სასამართლოს გადაწყვეტილებას და ამის შესაბამისად გავწევთ დახმარებასაც. რასაც სასამართლო დაგვაკისრებს“.

ჩვენ ხელშეკრულების ნახვა მოვითხოვეთ, მაგრამ გვასალიამ ხელშეკრულების აღვიღზე უქონლობა მოიმიზეზა და არ ჩაგვახედა ხელშეკრულების პირობებში. შევეცადეთ „პრაიმბეტონის“ ხელმძღვანელობის ნახვასაც, მაგრამ მათთან დაკავშირება ვერ შევძელით. სასამართლო პროცესი, როგორც აღვნიშნეთ, 12 აგვისტოსაა ჩანიშნული. რა გადაწყვეტილებას მიიღებს მოსამართლე ბერაია და მიიღებს თუ არა საწარმოო ტრამვატიზებული აკობიძე კომპენსაციას კომპანიებისგან, ჯერჯერობით ვაურკვეველია. თუმცა, ფოთის პროცესის წაგების შემთხვევაში, აკობიძეები დანებებას არ აპირებენ და გასაჩივრებას შეეცდებიან, მაგრამ იმედია, სასამართლო სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს და თვალახვეული თემიდას სასწორი საწოლს მიჯაჭვული ახალგაზრდისკენ გადაიხრება.



მონახეთა ბაზრის განსწორების იმედოდ დარჩენილები

დასაწყობი 3-გვ.

თუარა ბაზაში აღდგენილი და მიეცემა თუარა მათ დახმარება, ამის გასარკვევად შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ფოთის სამსახურს ვეწვიეთ. სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელმა მარინა კორტავამ ოფიციალური კომენტარისგან თავი შეიკავა. არაოფიციალურად ჩვენთან საუბარში კი გვითხრა, რომ ახალი პროგრამა რაც დაინერგა, ფოთში უმრავლესობას მაღალი ქულები მოუვიდათ, როგორც ჩანს ტესტირების დროს რაღაც უზუსტობა მოხდა, შეცდომა გაიპარა, მაგრამ ეს უკვე მოგვარებულია, უკვე დაიწყო ქულების დაკლება და ყველა მიიღებს დახმარებას, რამდენი ოჯახია, ამას ვერ ვამბობთ, რადგან ეს ინფორმაცია ცვალებადია, ყოველ წუთს იცვლება ბაზა, ვისაც ნამდვილად ეკუთვნის დახმარება, აუცილებლად მიიღებსო.

ფეიქრობთ, არც ერთ ადამიანს არ სიამოვნებს სახელმწიფოს ხელში უყუროს, მაგრამ იძულებულნი არიან ამ გაუთავებელი სოციალური პრობლემების გამო. სახელმწიფო კი ვალდებულია, ზრუნავდეს თავის მოქალაქეებზე და 21-ე საუკუნეში ელემენტალური საყოფაცხოვრებო პირობები არ იყოს სანატრელი. იმედია ხარვეზი გასწორდება და ის მცირედი დახმარება მანც მიეცემა შეჭირვებულ მოქალაქეებს.



გარემოვაჭრებს ხელნერილები დაურიგდათ

დასაწყობი 3-გვ.

სარიშვილის თქმითვე, ბაზრის ტერიტორიაზე გარევაჭრობა არამარტო ქაოსსა და უწესრიგობას ქმნის, არამედ სურსათის უვნებლობის რეგულირებასაც უშლის ხელს.

გარევაჭრობაზე პასუხისმგებლობა ადგილობრივ თვითმმართველობებს ეკისრებათ. ნებართვის გაცემასა და გარევაჭრობისთვის ადგილების გამოყოფასაც თვითმმართველობები ახდენენ. რთულია იმის თქმა, რამდენადაა დაცული სურსათის უვნებლობის მოთხოვნები გარევაჭრობის ადგილებზე.

ორი წლის წინ სურსათის ეროვნული სააგენტოს დაკვეთით, საქართველოს 9 ქალაქში ჩატარებულ სოციოლოგიურ კვლევაში, კითხვაზე „უნდა იყოს თუ არა ნებადართული საქართველოში გარე ვაჭრობა“, 41,3%-მა უარყოფითად უპასუხა, ხოლო 38,2%-მა აღნიშნა, რომ მხოლოდ ხარისხის კონტროლის შემთხვევაში უნდა იყოს გარე ვაჭრობა ნებადართული.



„აქედნა ნანალა და შეხვედრება კალაპოლა, და „გვეშელება რამე?..“

ქათი ჟიჟაა
ფოთი

ჩვენ ქალაქის დაუმთავრებელი და გაჭიანურებული მშენებლობები აქტუალობას არა და არ კარგავს და ჩვენც კვლავ ვუბრუნდებით ამ მოუგვარებელ პრობლემას. ფოთში აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე რამდენიმე საცხოვრებელი სახლიც ამ მშენებლობების სიაშია. სახლებს უკვე ორ წელზე მეტია სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები უტარდება და მის დასრულებას არ დაადგა საშველი. რემონტის ვადების ასე გაჭიანურებამ აღნიშნულ საცხოვრებელ კორპუსებში მცხოვრები მოსახლეობის გაღიზიანება გამოიწვია.

ჩვენთან საუბარში მათ გულისტკივილი გამოთქვას. როგორც გვითხრეს, სარემონტო სამუშაოების დროს ზიანი მიაღება მათ ბინებს ოთახებში -დაზიანდა ჭერი, გაიზარა კედელი და დღემდე წყალი ჩამოდის. წყალი უნახავს კედლებიდანაც. ამდენად, მათი მოთხოვნაა ტენდერი თავიდან ჩატარდეს

ბლემასთან დაკავშირებით. იყვნენ მერიიდან მოსულები, გვითხრეს, მოიყვანეთ თქვენ მუშები და შეთანხმდითო. მერე ჩვენს მუშებსაც მოვიყვანოთ და შედარებებს გავაკეთებოთ, რად უნდა ამდენი შედარებები? ფაქტი სახეზეა. თვითონაც ძალიან კარგად იციან, რა არის გასაკეთებელი, ვის როგორი რემონტი ქონდა გაკეთებული, ამის მიხედვით უნდა შეაფასონ. ერთი თვე დავდიოდით მერიაში თხოვნით, რომ ეშუამდგომლათ სამშენებლო კომპანიასთან ხარაღის ანაზღაურების თაობაზე. ოქმიც შედგა მერიის შუამდგომლობით ჩვენსა და სამშენებლო კომპანიას შორის. როგორც კი ჩაბარდება ეს შენობა ქალაქს, იმის მერე უნდა მოხდეს ხარაღის ანაზღაურება“.

ამავე კორპუსში მცხოვრები ნესტან დათუაშვილის თქმით, დაზარალებულები არიან ორივე კორპუსის არამარტო ბოლო სართულზე მაცხოვრებლები, არამედ მერე სართულზეც ჩაუვიდათ წყალი და გაუფუჭდათ კედლები და ჭერი: „რაც შეეხე-



დასრულებულიყო 1 თვეში, მაგრამ როგორც გავიგეთ, უფინანსობის გამო შეჩერებულია. ფანჯრებიდანაც შევიდის წყალი. ჭერზე მუშაობის დროს საშენ მასალას როგორც ჩანს, სიმაღლიდან ავდებდნენ, რის გამოც ჭერი ხანზარებდა და გვეშინოდა,

და გზაზე დაგვაცენებს. რამდენი ხანია, ასეთ დღეში ვართ, ამდენმა წანწალმა და შეხვედრებმა უკვე გადაგვღალა“- აცხადებენ ამ კორპუსის მაცხოვრებლები.

დაზარალებულები იმასაც კი ეჭვობენ, რომ კომპანიამ შესაძლოა მათსა და კომპანიას შორის დადებული ოქმი დაარღვიოს უფინანსობის მომიზეზებით. ამ შემთხვევაში, მათივე განცხადებით, გაჩერებას არ აპირებენ და სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებენ. „თუ თავიანთ დანაპირებს არ შეასრულებენ, ჩვენ მივმართავთ სხვა ზომებს, სხვადასხვა ინსტანციებს. ყველა ერთმანეთს ამოვუდგებით და ასე არ გავჩერდებით. ხარაღის აუნაზღაურებლობის შემთხვევაში სასამართლოს მივმართავთ. 14 დაზარალებული ოჯახი ვართ ამ ორ სახლში და ამ თოთხმეტივე ოჯახმა დავეწერეთ წერილი. ამათ უნდათ, რომ კაპიკებში გამოიყვანონ თავიანთი საქმე და მგონი სულ ჭიდილი გვექნება ამ თანხებთან დაკავშირებით“- ამბობენ დაზარალებულები.

ჩვენ შევეცადეთ დაგვავიზრებოდით სამშენებლო კომპანიის მესვეურებს, რათა გავვერკვია აპირებს თუ არა დაზარალებულები თუ არა დაზარალებულები მოთხოვნის დაკმაყოფილებას, მაგრამ კომპანიის

ხელმძღვანელობის პოვნა გავიჭირდა, მხოლოდ საქმეთა მწარმოებელი ვნახეთ, რომელიც იმავე კორპუსში ქირით ცხოვრობს, მაგრამ მან არც ვინაობა გავვიმხილა და კომენტარისგანაც თავი შეიკავა. შპს „ჯენერალ ქონტრაქტინგ კომპანია“, რომელიც ფოთში ცენტრალურ ქუჩაზე ორი კორპუსის მასშტაბურ სარეკონსტრუქციო სამუშაოებს ასრულებს, ტენდერით გამოვლინდა. როცა კომპანიის წარმომადგენლებთან ვერაფრის გარკვევა ვერ მოვახერხეთ, შევეცადეთ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან მაინც მიგველო განმარტებები, მაგრამ აქ უფრო მეტ წინააღმდეგობებს გადავაწყდით. მერის მოადგილემ ნიკოლოზ გრიგოლიამ მშენებლობის სამსახურის უფროს ზურაბ ყურუსთან გადაგვისამართა. ყურუამ თავის მხრივ საინფორმაციო სამსახურის უფროსთან გავვიშვა, ამ უკანასკნელმა კი ისევ ყურუასკენ მიგვითითა. ასე წრეზე სირბილის მიუხედავად, პასუხი ვერ მივიღეთ და ვერაფერი გავარკვიეთ. შესაბამისად, ჩვენთვისაც გაურკვეველი დარჩა ფოთში მშენებლობები როდესმე მაინც თუ დამთავრდება და ცნობილი ადამიანის მეტად ცნობილი ფრთიანი მაგრამ პასუხგაუცემელი გამოთქმა გვახსენდება - გვეშველება რამე?



და უფრო კეთილსინდისიერ მშენებლებს გადავცეთ მათი ბინები გასარემონტებლად. ერთ-ერთ სახლში მცხოვრები თალიკო ჯიმშელიაშვილი როგორც გვეუბნება: „არავის აინტერესებს ჩვენი მდგომარეობა. სამივე კორპუსის მშენებლობა რამდენიმე თვეა შეჩერებულია და პასუხის გამცემიც არავინაა. იქნებ ახალი ტენდერი დაინიშნოს, სხვა კომპანიამ გადაიბაროს და დასრულებას დაადგეს საშველი? ძალიან შეწუხებულები ვართ. ყოველი წვიმის დროს წყალი ჩამოგვდის და სულ დაძაბულები ვართ. რაც გაკეთდა, ისიც უხარისხოდაა გაკეთებული. თუ არ გეარემონტდა თავიდან, მუდმივად გვექნება პრობლემები. როდის შევძლებთ ნორმალურად ვიცხოვრო? რემონტი ძალიან ძვირი და მიჯდა, ძლივს გავაკეთებ. ჩვენ დაზარალებულებმა, ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ დავეწერეთ წერილი და ვის არ მივმართეთ ამ პრო-

ბა შეთანხმების ოქმს, ზოგი რამ არ მოგვეწონა. იქ წერია, რომ ანაზღაურება მოხდება შენობის ჩაბარების მერე, მანამდე ხომ უნდა მოხდეს აღწერა და აღწერაზე ჯერ არავინ ყოფილა. აღწერა საჭიროა, ვის რა ზიანი მოგვადგა და რა ოდენობის. ჩვენ ან თანხა უნდა მოგვეთხოვა, ან თვითონ უნდა გაეკეთებინათ, ჩვენ გვეყვება ხელოსანი მოყვანილი ადრე, რათა თვითონ მიგვეხედა ჩვენი თავისთვის, მაგრამ მერე ფასებმა იმატა სამშენებლო მასალებზეც და უკვე აღარ ვიცით, რამდენად მოფრიგდებით ფასებში. 2 წელზე მეტია, ეს სამუშაოები მიდის და სულ გვეუბნებოდნენ, რომ ასეთი სახის რემონტები, რეაბილიტაცია იწვევს თურმე ზიანს და ამისთვის ვართ მზადო და ჩვენც ზიანის შემთხვევაში გადავიხადოთ უნდა თანხაო. ოღონდ რამდენად აგვინაზღაურდება, ვერ გეტყვით. სარემონტო სამუშაო უნდა

არ ჩამონგრეულიყო. ფაქტი სახეზეა - ჭერი გაბზარული და ჩამოწულია. იმედია, ჩაბარების დღიდან 1 თვის განმავლობაში დანაპირებს შეასრულებენ. თუ არადა, ვაპირებთ სასამართლოში ჩივილს, ადვოკატს ავიყვანო



გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში, ახსნაღებს კონკურსს „წელიწადის გამყიდველი“-ს სახელზე

კონკურსში შეაქვთ მიიღოს მონაწილეობა ყველა გამყიდველმა, რომლის მალაზიამაც იყიდა გაზეთი. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა და დაჯილდოება გაიმართება რედაქციის სახელმძღვანელო ვითარებაში.

კონკურსში მონაწილეობა შეაქვთ ყველა გამყიდველს რომლის მალაზიამაც იყიდა გაზეთი.

რედაქციას შეაქვთ მონაწილეობა გამყიდველს მიიღოს მონაწილეობა კონკურსში, შეიძლება მკითხველმა ვიღაცისთვის მონაწილეობა ან გამყიდველი თვითონ დახელოს მონაწილეობას გაზეთის მიერ გამოცხადებულ კონკურსში.

1. ხმის მიხედვით მოხდება გაზეთში დაგეგმილი კვანძების შეფასებით.
2. მკითხველს შეაქვთ მისთვის ხმების ნებისმიერი რაოდენობა ერთ ან რამდენიმე გამყიდველს. არსებობს მხოლოდ ერთი პირობა - ხმის მიხედვით შეიძლება მხოლოდ გაზეთიდან გამომჟღავნებული კვანძები (ქსეროქსზე გადაღებული კვანძები კონკურსში მონაწილეობას არ დახელოვან).
3. თვეში ერთხელ ამოირჩევა - თვის საუკეთესო გამყიდველი, რომლის მიიღებს ჯილდოს-სიუპრიზს. თვეში ერთხელ ჯილდოს მიიღებს აგრეთვე ხმის მიხედვით.
4. წლის ბოლოს კი დასახელდება წელიწადის გამყიდველი, რომლის მიიღებს მნიშვნელოვან სარგებლობას.
5. ხმის მიხედვით შეაქვთ ყველა მკითხველს. თითოეულს შეაქვთ შეაქვს გაზეთიდან ამოჭრილი კვანძების ნებისმიერი რაოდენობა. კვანძები შეიძლება გაიგზავნოს ან მოიხალოს რედაქციაში, ან შეიძლება მოიხალოს მალაზიამ, რომელსაც იყიდა გაზეთი. მალაზიიდან კვანძებს დახელოს რედაქციის თანამშრომელი.

კონკურსის ხსენება ასევე ერთგული მკითხველი-ის სახელზე, წლის ბოლოს დაჯილდოვდება ის მკითხველი, რომლის რედაქციაში გაზეთის ყველა ნომერს ნარეკავდა.

სხელი ხაზი

გაზეთში „მთავარი თემა სამეგრელოში“ მოქმედებს ცხელი ხაზი.

თუ გაქვთ პრობლემა: გესაჭიროებათ დახმარება, ან გსურთ თქვენი ხმა მიაწვდინოთ კომპეტენტურ პირსა და ორგანოს, დაგვირეკეთ ნომრებზე: 599 34 14 17, 574 34 14 17, ჩვენ შევეცდებით დაგეხმაროთ პრობლემის მოგვარებაში; შეგიძლიათ დაგვირეკოთ საქალაქო ტელეფონზეც: 04293 22 40 50

კუპონი №16

შენიშვნები

გამყიდველის მთავარი პრიზი - - - - -

ხმის მიმცემის პრიზი - - - - -

1. _____
2. _____
3. _____
4. _____
5. _____

ხმის მიმცემის სახელი და გვარი _____

მისამართი: _____

ტელ: _____

ჩვენი მისამართი: ფოთი, წმინდა ნინოს 3/2, 0 492 22 40 50

გაზეთის ხელმოწერა საუკადავო!	გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში“ სამუშაოდ იწვევს სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს გაზეთის გამაგრებლად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაშვრებით. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ფოთი ნ.მ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელეფონი: 599 34 14 17	გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში“ სტაჟირებაზე იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოცდილება ქორნალისტიკაში წარმატებული სტაჟირები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი ნ.მ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელ: 599 34 14 17
ერთი ნომრის ღირებულება ორგანიზაციებისთვის 1 წლით - 50 ლარი 6 თვით - 25 ლარი 3 თვით - 12,50 ლარი კარდაკარის პრინციპით გაზეთის გამოწერა მოქალაქეებისთვის 3 თვით - 6 ლარი იკითხეთ გაზეთი შენიშვნები		

ისარგებლეთ გაზეთ „მთავარი თემა სამეგრელოში“ შედეგითიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განცხადებები, რეკლამები, მიღობები. ოჯახის სამეგრელოში განცხადებები, მიღობა- ჩვეულებრივი პრიზით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი პრიზით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორგანიზაციისთვის, სურათიანი განცხადებები: სამეგრელოში - 15 ლარი, მიღობა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე - მთლიანი გვ. (100სმ2)-150 ლარი, ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი; მეოთხედი (250სმ2)- 37.50 ლარი; მესამე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე, ბოლოში - სამჯერ ძვირი ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორგანიზაციისთვის. მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმოწერაზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამოცემის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამომცემის ოფისს. ქ. ფოთი, ნ.მ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 34 14 17,

შენიშვნები **შენიშვნები** **თქვენი** **პრობლემების** **კვალდაკვალ**